ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY

მიმართულება: მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

თემა:„შინმოვლის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“

მაგისტრანტი : ია ადეიშვილი

ხელმძღვანელი პროფ. თენგიზ ვერულავა, დოქტორანტი მარიამ თურმანაული

თბილისი

2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ია ადეიშვილი

18.06.2014

აბსტრაქტი

მსოფლიოში მოსახლეობის ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლისათვის სათანადო პირობებით უზრუნველყოფა განსაკუთრებულ ფასეულობებს წარმოადგენს. დაბერების მზარდი ტენდენციის გამო აუცილებელი ხდება ხანდაზმულების გრძელვადიანი მოვლით უზრუნველყოფა. ბევრ ქვეყნებში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს შინმოვლის სერვისებით უზრუნველყოფაში. შინმოვლის მიზანია მოვლაზე დამოკიდებული ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, პაციენტებისა და მათი ახლობლების დახმარება. საქართველოში ხანგრძლივი ბინაზე მოვლის პროგრამა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზეა განვითარებული. კვლევის მიზანია საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებში მიმდინარე შინმოვლის პროგრამების განვითარების დონის, მოვლაზე დამოკიდებული 60-65 წელს ზემოთ ხანდაზმულებში არსებული მდგომარეობის, რეალური საჭიროებებისა და მათ მიერ გაწეული დანახარჯების შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია შინმოვლის საკითხებზე არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურა, საკანონმდებლო ბაზა, ექსპერტებისა და საქართველოს კარიტასში აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციართა ფოკუს ჯგუფის კვლევა, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ სოციალურად დაუცველებისათვის სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს შეღავათი. გამოკითხულთა უმეტესობა წლებია ლოგინს არის მიჯაჭვული.მათი მოვლისათვის გაწეული ხარჯი კი ბევრად აღემატება თვიურ შემოსავალს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ხანგრძლივი მოვლა, შინმოვლა, ჯანდაცვა,

Abstract

Provision of adequate conditions for long and healthy life in the world, represents a great value. Due to increasing ageing tendency it became necessary to provide elderly people with long-term care. In many countries state plays an important role in providing homecare services. The aim of homecare is to increase the quality of life of those dependent on care, and to provide support to patients and their relatives.

In Georgia long-term homecare program is developed only on the level of non-governmental organizations.

The aim of this research is to determine the level of development of homecare programs amongst non-governmental organizations; learn about current condition of people dependent on homecare within the age group of 60-65 years of age and above; learn about real requirements and expenditures of non-governmental organizations.

Methodology of the research is based on existing Georgian and foreign literature; the legislative framework; and focus groups comprising of experts and Caritas Georgia registered beneficiaries.Focus group research revealed that state doesn't providesocially vulnerable population with benefits. Majority of respondents are tied to their beds for years, while cost of care is by far higher than their monthly income.

Key search words: long-term care, homecare, healthcare,

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის და ნაშრომის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელებს ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს ბატონ თენგიზ ვერულავას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ დოქტორანტს, მარიამ თურმანაულს, კვლევაში მონაწილე ექსპერტებსა და რესპონდენტებს.